

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №31
2020 წლის 30 დეკემბერი

ქ. ხონი

„ხონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის №106 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 91-ე მუხლის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლი მე-2 ნაწილის შესაბამისად ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს შევიდეს ცვლილებები ხონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში თანდართული რედაქციით.

ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვალერი ბახტაძე

დანართი

თავი I

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	11,532.5	7,181.6	4,350.9	11,508.4	7,433.1	4,075.3	13,121.3	6,813.4	6,307.9
გადასახადები	632.9	632.9	-	7,146.4	7,146.4	-	5,815.4	5,815.4	-
გრანტები	10,431.0	6,080.1	4,350.9	4,118.2	42.9	4,075.3	7,057.9	750.0	6,307.9
სხვა შემოსავლები	468.6	468.6	-	243.8	243.8	-	248.0	248.0	-
II. ხარჯები	6,598.2	6,583.7	14.5	7,037.1	6,718.7	318.4	7,218.5	6,994.3	224.2
შრომის ანაზღაურება	1,412.0	1,412.0	-	1,565.2	1,503.2	62.0	1,365.6	1,306.2	59.4
საქონელი და მომსახურება	732.0	732.0	-	914.6	797.4	117.2	1,122.2	1,054.1	68.1
პროცენტი	48.6	48.6	-	25.6	25.6	-	33.2	33.2	-
სუბსიდიები	3,493.6	3,493.6	-	3,652.0	3,562.4	89.6	3,726.2	3,632.5	93.7
გრანტები	0.5	0.5	-	5.8	5.8	-	10.0	10.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	750.8	750.8	-	644.4	641.4	3.0	826.4	823.4	3.0
სხვა ხარჯები	160.7	146.2	14.5	229.5	182.8	46.6	134.9	134.9	-



III. სოპერაციო საღდო	4,934.3	597.9	4,336.4	4,471.3	714.4	3,756.9	5,902.9	-	180.9	6,083.8
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,623.1	326.3	2,296.8	5,771.2	466.2	5,305.0	6,823.4	248.7	6,574.7	
ზრდა	2,654.6	357.8	2,296.8	5,804.8	499.8	5,305.0	6,873.4	298.7	6,574.7	
კლება	31.5	31.5		33.6	33.6		50.0	50.0		
V. მთლიანი საღდო	2,311.1	271.6	2,039.6	- 1,299.9	248.2	- 1,548.1	- 920.5	- 429.6	- 490.9	
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	2,311.1	271.6	2,039.6	- 1,325.6	222.4	- 1,548.1	- 971.9	- 481.0	- 490.9	
ზრდა	2,039.6	-	2,039.6	-	-	-	-	-	-	
ვალუტა და დეპოზიტები	2,039.6		2,039.6	-			-			
კლება	- 271.6	- 271.6	-	1,325.6	- 222.4	1,548.1	971.9	481.0	490.9	
ვალუტა და დეპოზიტები	- 271.6	- 271.6		1,325.6	- 222.4	1,548.1	971.9	481.0	490.9	
VII. ვალდებულებების ცვლილება	-	-	-	25.8	25.8	-	51.4	51.4	-	
კლება	-	-	-	25.8	25.8	-	51.4	51.4	-	
საშინაო	-	-	-	25.8	25.8	-	51.4	51.4	-	
სესხები	-			25.8	25.8		51.4	51.4		
VIII. ბალანსი	0.0	0.0	-	0.0	0.0	-	0.0	-	0.0	

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:
ათას ლარ

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები			
შემოსულობები	11,564.0	7,213.1	4,350.9	11,542.0	7,466.7	4,075.3	13,171.3	6,863.4	6,307.
შემოსავლები	11,532.5	7,181.6	4,350.9	11,508.4	7,433.1	4,075.3	13,121.3	6,813.4	6,307.
არაფინანსური აქტივების კლება	31.5	31.5	-	33.6	33.6		50.0	50.0	-
გადასახდელები	9,252.8	6,941.5	2,311.3	12,867.6	7,244.3	5,623.4	14,143.2	7,344.4	6,798.



ხარჯები	6,598.2	6,583.7	14.5	7,037.1	6,718.7	318.4	7,218.5	6,994.3	224.
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,654.6	357.8	2,296.8	5,804.8	499.8	5,305.0	6,873.4	298.7	6,574.
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	-	-	25.8	25.8	-	51.4	51.4	-
ნაშთის ცვლილება	2,311.1	271.6	2,039.6	- 1,325.6	222.4	- 1,548.1	- 971.9	- 481.0	- 490.

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 13.121,3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	11,532.5	7,181.6	4,350.9	11,508.4	7,433.1	4,075.3	13,121.3	6,813.4	6,307.9
გადასახადები	632.9	632.9	-	7,146.4	7,146.4	-	5,815.4	5,815.4	-
გრანტები	10,431.0	6,080.1	4,350.9	4,118.2	42.9	4,075.3	7,057.9	750.0	6,307.9
სხვა შემოსავლები	468.6	468.6	-	243.8	243.8	-	248.0	248.0	-

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 5.815,4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	632.9	632.9	-	7,146.4	7,146.4	-	5,815.4	5,815.4	-
საშემოსავლო გადასახადი	440.1	440.1	-	-	-	-	-	-	-
დამატებითი ღირებულების გადასახადი	-	-	-	6,868.4	6,868.4	-	5,595.4	5,595.4	-
ქონების გადასახადი	192.8	192.8	-	278.0	278.0	-	220.0	220.0	-



საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	118.7	118.7	197.7	197.7	179.0	179.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	-	-	-	-	-
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1.8	1.8	2.6	2.6	10.0	10.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	56.4	56.4	60.3	60.3	30.0	30.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	15.9	15.9	17.5	17.5	1.0	1.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 7.057,9 ათასი ლარით:

დასახელება	ათასი ლარი		
	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის პროექტი
გრანტები	10,431.0	4,118.2	7,057.9
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	-		
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	10,431.0	4,118.2	7,057.9
გათანაბრებითი /სპეციალური ტრანსფერი	5,920.1	42.9	750.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	160.0	160.0	160.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად (სკოლები)		542.1	44.2
კაპიტალური ტრანსფერი	3,988.6	3247.0	6,103.8
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	362.3	126.2	-
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	112.8	126.2	
წლის დასაწყისისთვის გარდამავალი საბრუნავი სახსრები	249.5		

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 248,0 ათასი ლარით:



დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	468.6	243.8	248.0
შემოსავლები საკუთრებიდან	91.3	86.8	83.0
პროცენტები	33.2	32.8	30.0
დივიდენდები	-	-	-
რენტა	58.1	54.0	53.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	81.0	71.9	75.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	43.2	52.1	35.0
სანებართვო მოსაკრებელი	10.6	15.3	3.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	32.6	36.8	32.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	37.8	19.8	40.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	53.0	50.4	80.0
წლის დასაწყისისთვის გარდამავალი საბრუნავი სახსრები	231.3	-	-
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	12.0	34.7	10.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 7.218.5 ათასი ლარით:

ათ.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	6,598.2	7,037.1	6,718.7	318.4	7,218.5	6,994.3	224.2
შრომის ანაზღაურება	1,412.0	1,565.2	1,503.2	62.0	1,365.6	1,306.2	59.4
საქონელი და მომსახურება	732.0	914.6	797.4	117.2	1,122.2	1,054.1	68.1
პროცენტები	48.6	25.6	25.6	-	33.2	33.2	-
სუბსიდიები	3,493.6	3,652.0	3,562.4	89.6	3,726.2	3,632.5	93.7



გრანტები	0.5	5.8	5.8	-	10.0	10.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	750.8	644.4	641.4	3.0	826.4	823.4	3.0
სხვა ხარჯები	160.7	229.5	182.8	46.6	134.9	134.9	-

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 6.823,4ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 6.873,4 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 50,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	17.3	25.8	10.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	17.3	25.8	10.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	2,608.0	5,164.9	5,729.8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,932.9	4,230.1	5,136.1
02 02	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	-	476.4	514.4
02 03	გარე განათება	30.6	0.4	0.8
02 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	538.6	196.2	63.8
02 05	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	-	133.1	-
02 06	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	105.9	128.6	14.8
02 07	წყლის სისტემების მოწყობა	-	-	-
		-	-	-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2.1	1.1	48.9
03 01	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და სხვა კომუნალური მომსახურება	2.1	1.1	5.0
03 02	სასაფლაოების მოვლა პატრონობა			5.4
03 03	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში			38.5
		-	-	-
04 00	განათლება	11.2	382.9	905.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	11.2	5.3	5.5
04 02	განათლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა და სხვა	-	377.6	899.5



	მიმდინარე ღონისძიებები			
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	14.9	17.8	75.6
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	-	-	65.8
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	14.9	15.4	7.0
05 07	კულტურული და სახელოვნებო ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	-	2.5	2.8
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.7	209.1	104.1
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0.7	209.1	104.1
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	2,654.2	5,801.5	6,873.4
	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
	არაფინანსური აქტივების კლება	31.5	33.6	50.0
	ძირითადი აქტივები	9.0	33.6	50.0
	არაწარმოებული აქტივები	22.5	-	-
	მიწა	22.5	-	-

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრიტერიუმად რეადაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,983.8	2,193.2
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,935.3	2,141.9
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,935.3	2,141.8
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	0.1
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	48.6	51.3
7.2	თავდაცვა	83.3	90.4



7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	83.3	90.4
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	1,966.6	4,841.6
7.4.5	ტრანსპორტი	1,932.9	4,230.1
7.4.5.1	სავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,932.9	4,230.1
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	33.7	611.5
7.5	გარემოს დაცვა	672.4	723.0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	566.5	594.3
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	105.9	128.6
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	927.3	591.8
7.6.1	ბინათმშენებლობა	519.4	242.8
7.6.3	წყალმომარაგება		
7.6.4	გარე განათება	210.6	164.1
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	197.3	184.9
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	87.0	301.3
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	87.0	301.3
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,244.4	1,280.6
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	259.1	271.8
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	777.3	825.7
7.8.3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	30.0	33.0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	178.0	150.0
7.9	განათლება	1,301.2	1,925.5
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	985.6	1,597.0
7.9.2	ზოგადი განათლება	315.6	328.5
7.9.2.2	საბაზო ზოგადი განათლება	315.6	328.5
7.10	სოციალური დაცვა	986.8	911.2
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	-	-
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	-	-
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	-	-
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	-	-
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	-	-
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	984.3	907.7
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2.5	3.5



	სულ	9,252.8	12,858.6

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 920,5 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 5902,9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	4,934.3	4,471.3	5,902.9
მთლიანი სალდო	2,311.1	- 1,299.9	- 920.5

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ათას ლარში

დასახელება	2018წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	2,311.1	- 1,325.6	- 971.9
ზრდა	2,039.6	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	2,039.6	-	-
კლება	- 271.6	1,325.6	971.9
ვალუტა და დეპოზიტი	- 271.6	1,325.6	971.9

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 51.4 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის პირითადი თანხის დაფარვას. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხონის მუნიციპალიტეტის სასახო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 341.4 ათას ლარს.

თავი II

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5965,4 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში



02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	5,965.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,142.5
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	5,127.5
02 02	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	514.4
02 03	გარე განათება	230.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	230.0
02 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	63.8
02 04 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	54.8
02 04 02	შენობა ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია	8.9
02 05	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	-
02 06	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	14.8
02 07	წყლის სისტემების მოწყობა	-

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01		6001,4
პროგრამის განმახორციელებელი	ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და	<p>ბოლო წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, განსაკუთრებით საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით. მუნიციპალიტეტის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სახელმწიფო ფონდებით დაფინანსებული ღონისძიებები.</p> <p>მიზანი: მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. მიმდინარე წელს განხორციელდება მუნიციპალიტეტის მასშტაბის მასშტაბით 16 გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ესენია:</p> <p>სოფელ გუბში ქუთაისი-ხონის ცენტრალური გზის მე-11 კმ-დან სოფელ დიდი ჯიხაიშის საზღვრამდე გზის მოასფალტება</p> <p>სოფელ კონტუათის ცენტრიდან რუხაძეების უბანში N2 ქუჩის მოასფალტება</p> <p>ქ. ხონში თაყაიშვილის ქუჩის მოასფალტება</p> <p>გოჩა ჯიხაიშის ცენტრიდან სოფელ გუბის მიმართულებით გზის მოასფალტება</p> <p>სოფელ კონტუათის ცენტრიდან ჩარგეიშვილების უბნის გზის მოასფალტება</p>		



მიზანი	<p>სოფელ მათხოჯში ბარაბაძეების უბანის გზის მოასფალტება</p> <p>სოფელ დედალაური-ჩაის მეურნეობის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება</p> <p>ქ. ხონში იპ ხვიჩიას ქუჩის პირველი შესახვევის მოასფალტება</p> <p>მათხოჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ სუხჩას შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია</p> <p>ქ ხონში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია</p> <p>სოფელ ახალშენში ნამაშევის უბანშიმისასვლელი გზის მოასფალტება</p> <p>სოფელ დიდი კუხიდან გორდაძეების უბანამდე დამაკავშირებელი გზის მოასფალტება</p> <p>სოფელ ივანდიდის მე-14 ქუჩის მოასფალტება</p> <p>კონტუათში რუხაძეების უბანის N1 ქუჩის მოასფალტება</p> <p>ივანდიდის N15 ქუჩის მოასფალტება</p> <p>სოფელ ღვედშიცენტრალური გზის 37-ე კილომეტრიდან სოფლის ცენტრამდე გზის მოასფალტება</p>
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისთვის შექმნილი უსაფრთხო გარემო.

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		230,0
პროგრამის განმახორციელებელი	ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ხონში და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <p>გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას (229,2 ათასი ლარი). ახალი ქსელის მოწყობა. (0,8 ათასი ლარი)</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება.		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 865,9 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	865.9
03 01	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და სხვა კომუნალური მომსახურება	630.0
03 02	სასაფლაოების მოვლა პატრონობა	127.4
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	38.5
03 04	ადმინისტრაციული შენობების მოვლა დასუფთავება	70.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და სხვა კომუნალური მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		630,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ხონის მუნიციპალიტეტის კომუნალური სერვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ხონის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები.</p> <p>დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან. .</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ - ხონის მუნიციპალიტეტის კომუნალური სერვის ცენტრი ანხორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებასა და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: გორდი, კინჩხა, ხიდი, მათხოჯი, ნახახულევი, კონტუათი, გუბი, კუხი, ახალმენი, ნამაშევი, ივანდიდი, ქუტირი. შეგროვებული ნარჩენები გადის სამტრედიის ნაგავსაყრელზე.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 20 მ/კუბ ნარჩენი რაზვც ყოველდღიურად მუშაობს 2 ნაგავმზიდი.</p> <p>ტურისტული სეზონთან დაკავშირებით იზრდება ნარჩენების რაოდენობა, დასუფთავების სამსახური უზრუნველყოფს დაგვა დასუფთავებასა და ყოველდღიურად დამატებით ნარჩენების გატანას. (უმეტეს შემთხვევებში ნაგავსაყრელზე დამატებით გადის 13 მ/კუბ ნარჩენი).</p> <p>პროგრამიდან ასევე ფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, ახალი ნარგავების დარგვა. პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა, გარე განათების ქსელის ტექნიკური მომსახურება (ნათურების შექმნა და შეცვლა) აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში სუფთა და ლამაზი გარემოს შექმნას.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ხონის მუნიციპალიტეტის კომუნალური სერვის ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული და კეთილმოწყობილი გარემო.		



პროგრამის დასახელება	კოდი	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		127.4
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ხონის სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქის 128481 კვ/მეტრის სასაფლაოს მოვლა-პატრონობა.</p> <p>კერძოდ: პირველი უბნის ,მე-3 უბნის (მველი) ,მე-3 უბნის (ახალი) , ვ. ბახტაძის ქუჩაზე მდებარე, ქარჩხაბის მველი და ახალი ,მე-4 უბნის,ზ.კაკაბაძის ქუჩაზე მდებარე ქალაქის სასაფლაოები და სოფელ საწულუკიძემოს სასაფლაო 12126 კვ/მეტრი. ამ სასაფლაოების მთლიანი ფართობი შეადგენს 140607 კვ/მ.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ხონის სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none"> - სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება და შეღებვას; - სასაფლაოების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან; - სასაფლაოების გაცეღვით და შეწამვლით სამუშაოების შესრულებას. <p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება - სასაფლაოებიდან ნაჩენების გატანა, აღდგომის დრესასწაულთან დაკავშირებით ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოებზე ქვიშის შეტანა, გამხმარი და დაზიანებული ხეების მოჭრა-დამუშავება. ასევე განხორციელდება ქალაქისა და და რამდენიმე სოფლის სასაფლაოზე არტეზიული ჭის მშენებლობა, რითაც, მოსახლეობას საშუალება ექნება ისარგებლონ სასაფლაოს ტერიტორიაზე წყლის რესურსი უსასყიდლოდ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი სასაფლაოები		

პროგრამის დასახელება	კოდი	ადმინისტრაციული შენობების მოვლა-დასუფთავება	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		70,0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს აფხაზეთი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების მოვლა-დასუფთავება, ელექტრო სისტემებისა და სანტექნიკის შესაკეთებელი სამუშაოების განხორციელება.		
მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული ადმინისტრაციული შენობები კომუნალური და ელექტრო სისტემების გამართული ფუნქციონირება		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2390,0 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
04 00	განათლება	2,390.0



04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1,085.0
04 02	განათლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა და სხვა მიმდინარე ღონისძიებები	965.0
04 03	სკოლისგარეშე განათლება	340.0
04 03 01	მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	160.0
04 03 02	კომპიუტერისა და ინგლისური ენის შესწავლის ხელშეწყობა	60.0
04 03 03	ტექნიკური შემოქმედებითი განათლების ხელშეწყობა	120.0

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა და სხვა მიმდინარე ღონისძიებები	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02		965,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაციას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის N3 ბაღის, მათხოჯის ბაღის, კონტუათის ბაღის და კუხის ბაღის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ქალაქის 1 და 7 სოფელში საბავშვო ბაღის სველი წერტილების კეთილ მოწყობა. მოეწყობა და განახლდება მუნიციპალიტეტის სკოლებში სველი წერტილები.</p> <p>მიზანი: გამართული ინფრასტრუქტურის მოწყობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მოწყობილი ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლისგარეშე განათლება	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		340,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპხონის მუნიციპალიტეტის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი, ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი.		
	<p>პროგრამა მოიცავს:</p> <p>მრავალპროფილიან საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებს, რომლებიც თავისი სტრუქტურით მრავალი მიმართულებით ემსახურება 6 წლიდან ბავშვებს, მოზარდებსა და ახალგაზრდებს. დაწესებულებებში სასწავლო- აღმზრდელობითი სამუშაოების ძირითად ფორმას წარმოადგენს საწრეო, სტუდიური და საკლუბო სამუშაოები სადაც ძირითადად ხორციელდება არაფორმალური განათლების მიღება, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის უნარ-ჩვევების, კომპეტენციების, ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას არაფორმალურ,</p>		



ბუნებრივ გარემოში, სადაც ბავშვებს უქმნიან მოტივაციას, იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს: ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი, რომლის ბაზაზე ფუნქციონირებს სამუსიკო, ვოკალური და ქორეოგრაფიული სტუდიები, 8 წრე და 3 კლუბი, მათ შორის: ქართული ხალხური სიმღერებისა და საკრავთა, მხატვრული კითხვისა და ლიტერატურული დაოსტატების, ქართული ენის გრამატიკისა და ლიტერატურის, სამართალმცოდნეობის, გიტარის შემსწავლელი და მხატვრული ტანვარჯიშის წრეები. ფოტო-კინო ხელოვნების, შემეცნებითი და ინტელექტუალური თამაშების, მხარედმცოდნეობისა და ტურიზმის კლუბები. თოჯინებისა და ლიტერატურული თეატრები. ცენტრი წლის განმავლობაში ემსახურება 500 ზე მეტ ბენეფიციარს. 2020 წლის ბიუჯეტით ცენტრს გამოეყოფა 160,0 ათასი ლარი.

ა(ა)იპხონის მუნიციპალიტეტის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი აერთიანებს 2 წრის მიმართულებას, მოსწავლე ახალგაზრდობაში ინგლისური ენისა და კომპიუტერის შესწავლა. სწავლება მიმდინარეობს უფასოდ, მშობლის განცხადების საფუძველზე. დაკომპლექტებულია ძირითადად სოციალურად დაუცველი ბავშვებით. თითოეულ ჯგუფში ირიცხება 6-8 მოსწავლე. სასწავლო კურსის ხანგრძლივობა კომპიუტერის შემსწავლელ კურსის 3 თვე, ინგლისურის კურსის 1 წელი. გაკვეთილის ხანგრძლივობა ერთი საათი. ჯგუფები კომპლექტდება ტესტირების საფუძველზე. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ საგამოცდო კომისიის მიერ ტარდება გამოცდა და მოსწავლეებს გადაეცემა სერთიფიკატი. ჩარიცხული მოსწავლეთა რაოდენობა სასწავლო წლისთვის დაახლოებით შეადგენს 75 მოსწავლეს.

პროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში კომპიუტერული უნარ-ჩვევების და ინგლისური ენის შესწავლას, მეტი მოზარდის ჩართვას კომპიუტერული უნარ-ჩვევების და ინგლისური ენის გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

2020 წლის ბიუჯეტით ინფორმატიკის სასწავლო ცენტრს გამოეყოფა 60,0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლიც ასევე წარმოადგენს სკოლისგარეშე სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც გაერთიანებულია შემდეგი წრეები: ტექნიკური მოდელირების, ახალგაზრდა გამოგონებლების, ქიმია-ლაბორატორიის, ნორჩ ეკოლოგთა, ქიმიური მეწარმეობის საფუძველების, ფიზიკის, მათემატიკის, ზოგადი უნარების, ინფორმატიკისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, კომპიუტერული მოდელირების, თანამედროვე ტექნოლოგიების, მაკეტირება და ხაზვის, გამოყენებითი ხელოვნების, დიზაინის, ქსოვის, დაწყებითი ტექნიკური მოდელირების, რელიგია და კულტურის, ფოლკლორის, მხატვრული კითხვის, ინგლისური ენის, ლიტერატურული სალონის, რადიოტექნოლოგია და ვიდეოკომუნიკაციის, დებატ კლუბის"თაობათა ცვლა"-ს, აქტიური მოქალაქეების კლუბის, ვაჟთა ვოკალური ჯგუფის, ფოტომოყვარულთა ჯგუფის.

ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობას განუვითაროს ინტერესი საწარმოო საქმიანობის და გამოგონებლობისადმი, ჩამოეყალიბოს ტექნიკურ-შემოქმედებითი აზროვნება, განუმტკიცოს საჯარო სკოლაში მიღებული ცოდნა და დახმარება გაუწიოს საშუალო საფეხურის მოსწავლეებს დამატებითი საბაზისო ცოდნის მიღებაში, გამოუმუშაოს მაღალი ესთეტიკური კულტურა, ხელი შეუწყოს მათ მოსწავლეების პროფესიულ ორიენტაციას, ასევე დიდი ყურადღება მიაქციოს ახალგაზრდა გამოგონებელთა ჯგუფის წარმატებულ საქმიანობას.

2020 წლის ბიუჯეტით ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლს გამოეყოფა 120,0 ათასი ლარი.

სკოლისგარეშე, არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლე- ახალგაზრდობისათვის მოტივაციის ამაღლება, ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა და წახალისება, საგნებისადმი ინტერესის გაღვივება, ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო წრეებით სარგებლობისათვის,

პროგრამის აღწერა და მიზანი

მოსალოდნელი შედეგი

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1285,1ათასი ლარით. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის ბიუჯეტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,285.1
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	357.7



05 01 02	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	277.0
05 01 04	სპორტული ღონისძიებები	15.0
05 02	კულტურისა და ხელოვნების სფეროს განვითარება	678.5
05 02 01	სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა	62.0
05 02 02	მუზეუმის ხელშეწყობის პროგრამა	72.0
05 02 03	ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა	122.5
05 02 04	სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა	235.0
05 02 05	თეატრის განვითარების ხელშეწყობა	187.0
05 03	საინფორმაციო უზრუნველყოფის მხარდაჭერა	33.0
05 04	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	8.0
05 05	კულტურის ღონისძიებები	55.0
05 06	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	150.0
05 07	კულტურული და სახელოვნებო ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	2.8

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		277,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა აერთიანებს 10 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (70 ბავშვი); თვისუფალი ჭიდაობა (78 ბავშვი); რაგბი (18 ბავშვი) კალათბურთი (45 ბავშვი) კიო-კუშინ კარატე (10 ბავშვი) კარატე (40 ბავშვი) კრივი (12 ბავშვი) მძლეოსნობა (45 ბავშვი), ჭადრაკი (12 ბავშვი); ძალოსნობა (15 ბავშვი) გოგონათა ფეხბურთი (14 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სხვადასხვა სახეობებს ეუფლება 362 ბავშვი, სასპორტო სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. 		
მოსალოდნელი შედეგი	კომპლექსური სასპორტო სკოლის მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად ფუნქციონირება, ყველა მსურველის დაკმაყოფილება სკოლის მომსახურებით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის სპორტული წრეებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 04		15,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	კულტურის, განათლების სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამით ხორციელდება ისეთი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, როგორცაა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის, სპორტი ბარიერების გარეშე, საფეხბურთო ჩემპიონატები, როგორც გოგონებს, ასევე ვაჟებს შორის, გამოჩენილი სპორტსმენების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირები კალათბურთისა და ფეხბურთში, ქალთა დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები, მუნიციპალური პირველობა ნარდსა და შაშში, სასკოლო ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, წარმატებულ სპორტსმენების, წარმატებული მწვრთნელების და ღვაწლმოსილი სპორტსმენების დაჯილდოება, საერთაშორისო ტურნირებზე ხონელი სპორტსმენების დაფინანსება, ჩატარდება საქართველოს ჩემპიონატი დრიფტში MBW სავაჭრომობილო ფედერაციის მიერ და სხვა.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება, გამარჯვებულთა გამოვლენა და წახალისება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფულადი და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებული ახალგაზრდა, წარმატებული და ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურისა და ხელოვნების სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02		678,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ხონის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ ხონის მთავარი ბიბლიოთეკა, ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ ხონის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ ხონის ისტორიული მუზეუმი		
პროგრამის აღწერა	<p>ა(ა)იპ ხონის კულტურის ცენტრში გარდა სახალხო თეატრისა გაერთიანებულია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სოფელ მათხოჯის კულტურის სახლი, სოფ.კუხის კლუბი, სოფ. დედალაურის კლუბი, სოფ. კონტუათის კლუბი, სოფ. პატარა ჯიხაიშის კლუბი, სოფ. გოჩა ჯიხაიშის კლუბი. ცენტრში ფუნქციონირებს სასულე ორკესტრი, ვაკთა ფოლკლორული ანსამბლი, ვოკალური ანსამბლი "პრესტო", იომორისტული ჯგუფი "იპოლიტელები", ლიტერატურული სალონი, ბავშვთა ლიტერატურული წრე, სახალხო თატრი, ბავშვთა ნიღბების თეატრი, თოჯინების თეატრი. ა(ა)იპ კულტურის ცენტრში დასაქმებულია 56 თანამშრომელი. 2020 წლისბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 187,0 ათას ლარს.</p> <p>ცენტრის ძირითადი მიზანია კულტურული და შემოქმედებითი მუშაობა, მუნიციპალიტეტის თეატრალური და კულტურული ტრადიციების აღდგენა, გაცვლითი პროგრამები საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის, მოსწავლეთა ურთიერთდაახლოვება, ხელოვნებისადმი მიდრეკილების გაღვივება, ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა, ადგილობრივ შემოქმედთა შემოქმედების პოპულარიზაცია, ფოლკლორით დაინტერესება.</p> <p>ა(ა)იპ ხონის სამხატვრო სკოლა ახორციელებს სახელოვნებო სამხატვრო პროგრამას დაწყებითი სამხატვრო განათლების ფარგლებში. მოსწავლეები შეისწავლიან: ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, მერწვას, კერამიკის და ხელოვნების ისტორიის საფუძვლებს. მოსწავლეები სკოლის სრული პროგრამის გავლის შემდეგ, მზად არიან სწავლა გააგრძელონ შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში. მონაწილეობენ ადგილობრივ რეგიონულ და რესპუბლიკურ გამოფენებზე. სწავლის პროცეს უძღვება 7 პედაგოგი, სწავლის ხანგრძლივობა 6 წელია, სკოლაში სწავლობს 70 მოსწავლე. 2020 წლისათვის დაფინანსება შეადგენს 62,0 ათას ლარს.</p> <p>ა(ა)იპ ხონის ისტორიული მუზეუმი აერთიანებს მხარის ისტორიის, პოლიკარპე კაკაბაძის, ირ. აბაშიძისა და საბრძოლო დიდების განყოფილებებს, სულ 22661 ექსპონატით. ქვეპროგრამის მიზანია გააცნოს ვიზიტორებს კუთხის ისტორია, ცნობილ მოღვაწეთა ცხოვრება და მოღვაწეობა, ახალგაზრდობას ჩაუნერგოს ქვეყნის სიყვარული. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 2000-ს. დაფინანსება 70,0 ათასი ლარი.</p>		



და მიზანი	<p>ა(ა)იპ ხონის მთავარი ბიბლიოთეკაში შედის ერთი მთავარი და 15 სასოფლო ბიბლიოთეკა. სასოფლო ბიბლიოთეკები: მათხოჯის ბიბლიოთეკა, გუბის ბიბლიოთეკა, ქუტირის ბიბლიოთეკა, ახალბედისეულის ბიბლიოთეკა, ივანდიდის ბიბლიოთეკა, ნახახუღვის ბიბლიოთეკა, დედალაურის ბიბლიოთეკა, გოჩა-ჯიხაიშის ბიბლიოთეკა, გელავერის ბიბლიოთეკა, გორდის ბიბლიოთეკა, კინჩხის ბიბლიოთეკა, კუხის ბიბლიოთეკა, სუხჩის ბიბლიოთეკა, მეძილეთის ბიბლიოთეკა, ღვედის ბიბლიოთეკა, წიგნადი ფონდი სოფლების ბიბლიოთეკებში შეადგენს 59585 ცალს.</p> <p>ბიბლიოთეკები ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს, წლის განმავლობაში სასოფლო ბიბლიოთეკარებს უტარდებათ ტრენინგ-სემინარი. წიგნით საზოგადოებრივი სარგებლობის უზრუნველყოფას და ყველა თაობის განათლებას ემსახურება ბიბლიოთეკაში ჩატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები: წიგნის პრეზენტაცია და რეკლამა, პოეზიის სადამოები, ლიტერატურული კომპოზიციები, შემეცნებითი შეხვედრები სკოლებთან ერთად, კინოს ჩვენებები, წიგნის დღე, ზღაპრის დღე, ღია კარის დღე ბაღებისა და საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და სხვა. 2020 წლისათვის გამოყოფილი დაფინანსება- 122.5 ათასი ლარი.</p> <p>ა(ა)იპ ხონის სამუსიკო სკოლა აერთიანებს 2 განყოფილებას: საფორტეპიანო და საორგესტრო. სამუსიკო სკოლაში სწავლობს 273 ბავშვი აქედან, საფორტეპიანოზე- 245 ბავშვი და საორგესტროზე-28 ბავშვი. სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები სისტემატიურად მეცადინეობენ მათთვის განსაზღვრულ დღეებში, მონაწილეობას ღებულობენ სასკოლო და სარაიონო ღონისძიებებსა და კონკურსებში. ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, აღიზარდოს რაც შეიძლება მეტი კულტურული მსმენელი პროპაგანდა გაუწიოს კლასიკურ მუსიკას;</p> <p>- მუნიციპალიტეტის წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების სფეროს განვითარების პროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებების წლის განმავლობაში შეუფერხებლად ფუნქციონირება. კულტურის სახლების მიერ სრულად დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. თეატრებში დადგმული სპექტაკლები. ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების მიერ მსურველებისათვის საკუთარი მომსახურების შეთავაზება.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი 05 03	საინფორმაციო უზრუნველყოფის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში 33,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ხონის საინფორმაციო ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გაზეთი „ხონი“-ს გამოშვება თვეში ორჯერ. თითოეული გამოშვების ტირაჟი შეადგენს 500 ცალს.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.		
პროგრამის დასახელება	კოდი 05 04	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში 17,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახური ახორციელებს ისეთი ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებას როგორცაა მხიარულთა და საზრიანთა ჩემპიონატი სკოლებს შორის, ფოტომოყვარულთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი, არაფორმალური განათლება(ტრენინგები), დასუფთავების აქციები, ინტელექტუალური თამაშები, თვითნასწავლი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი, გამოჩენილ პოეტებთან შეხვედრა, წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება. საერთაშორისო სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე წარმატებული ხონელი ახალგაზრდების დაფინანსება, ახალგაზრდული დღეები(ფილმების ჩვენება, ფერების ფესტივალი, dj) და სხვა. პროგრამის მიზანია ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა.</p>		



მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა.

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 05		55,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხონის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ხონის მუნიციპალიტეტში ტრადიციად ქცეულ, სახალხო სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზებას, ფესტივალების, ლიტერატურულ - შემოქმედებითი საღამოების, საიუბილეო საღამოების ორგანიზებას, კულტურის სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილ და წარმატებულ ადამიანებთან შეხვედრას, მათ დაჯილდოება - წახალისებას. კულტურული პროექტების დაფინანსებასა და თანადაფინანსებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს საერთაშორისო და რეგიონალური ფესტივალებში ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების აქტიურ ჩართულობას, ტარდება ხონის სახელოვნებო საერთაშორისო „არტ რეზიდენცია“, სადაც ადგილობრივ მხატვრებთან ერთად მონაწილეობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული ხელოვანები, რომლებიც ეცნობიან ჩვენი ქალაქის კულტურას, ისტორიას, ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს და მრავალფეროვანს ხდის ღონისძიებას. გარდა ამისა, ყოველივე ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხონის მუნიციპალიტეტში უცხოელი ტურისტების მოზიდვასა და შესაბამისად ტურიზმის განვითარებას. პროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალის გამართვას, რომელიც მიზნად ისახავს ქართული მრავალხმიანი სიმღერისა და ტრადიციული გალობის განვითარებას, წარმოჩენასა და პოპულარიზაციას, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტით უზრუნველყოფას. პროგრამით ასევე ხორციელდება სოციალური ღონისძიებები საახალწლო,საშობაო და საადდგომო დღეებთან დაკავშირებით სოციალურად შეჭირვებული ოჯახების სასურსათო ნობათით დახმარება.</p> <p>პროგრამის მიზანია კულტურული ღონისძიებები მეტად იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულებით - თეატრალური, სამუსიკო, სახვითი, ტრადიციული და სხვ. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხონის მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს განვითარებას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;</p> <p>პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 06		150,0
